სტუმრად - ისევე, როგორც შინ!

ლენინგრადი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 23 ივლისი.

"ზენიტი" (ლენინგრადი) – "დინამო" (თბილისი) 2:2 (0:1).

"ზენიტი": ნიკოლაევი, დავიდოვი, ვედენეევი, ზოლინი, ბონდარენკო, ლარიონოვი, კომაროვი (დოლგოპოლოვი), კაზაჩონოკი (ბროშინი), ჟელუდკოვი, კლემენტიევი, გერასიმოვი.

"დინამო": მჭედლიძე, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, თავაძე, კაკილაშვილი (სვანაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ნ. ხიზანიშვილი.

დუბლიორები - 3:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჩელებაძემ (პენალტი), ცავამ, სულაქველიძემ.

დაიწყო თუ არა ორთაბრძოლა, ნათელი გახდა, რომ "ზენიტს" კონკრეტული ამოცანა ჰქონდა დასახული. უპირველეს ყოვლისა, ყიფიანის ნეიტრალიზება. მას საამისოდ საგანგებო დარაჯიც მიუჩინეს - ვედენეევი. მაგრამ ყიფიანმა თავიდან ბოლომდე საუკეთესოდ შეასრულა თავისი როლი და უზუსტესი გადაცემებით სისტემატურად ამარაგებდა თავდამსხმელებს, ამავე დროს გამუდმებით კონტაქტში იყო დაცვის წამყვან მოთამაშესთან - ჩივაძესთან.

ყიფიანის საიერიშო კომბინაციები უმთავრესად მიმართული იყო წინა პოზიციებზე მყოფ შენგელიასა და გუცაევი მიმართ, რომლებიც ყოველ უმცირეს შესაძლებლობასაც იყენებდნენ შეტევის გაგრძელებისა და დამთავრებისთვის. ორივემ ითამაშა სწრაფად, აქტიურად. "ზენიტის" მცველებისათვის მათთან ბრძოლა ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ თანდათან გამოიკვეთა თბილისელთა უპირატესობა, ისინი მეტოქეზე გაცილებით უფრო საინტერესოდ, შემოქმედებითად, გაბედულად მოქმედებდნენ.

28-ე წუთზე ყიფიანმა გარღვევაზე გაიყვანა შენგელია, მან ცენტრში გადააწოდა კაკილაშვილს და ამ უკანასკნელთან ბრძოლაში ჟელუდკოვმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი - 1:0.

ტაიმის ბოლო წუთზე ლენინგრადელებმა მეტოქის ნახევარზე გადმოინაცვლეს, გაითამაშეს კომბინაცია და ბურთი საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ მდგარ ერთ-ერთ დინამოელ მცველს მოხვდა ხელში. ვიმეორებთ: მცველი საჯარიმო მოედანს გარეთ იდგა, რაც ნათლად ჩანდა თუნდაც ტელევიზიის არაერთგზისი გამეორებისას, ეს ეპიზოდი ნათელი უნდა ყოფილიყო ისეთი მაღალი კვალიფიკაციის არბიტრისთვის, როგორიცაა ე. შკლოვსკი. მან კი გადაწყვიტა მოთათბირებოდა გვერდით მსაჯს, მოეთათბირა და... დანიშნა პენალტი.

გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ სადავო იყო, მაგრამ ყველაზე უკეთ ეს საკითხი გადაჭრა მეკარე მჭედლიძემ: მან სწრაფი ნახტომით მოიგერია კაზაჩონოკის დარტყმა. ტაიმიც აქვე გათავდა.

შესვენების შემდეგ "ზენიტის" მეკარე ნიკოლაევს ზედიზედ რამდენიმე უძნელესი ბურთის მოგერიება მოუხდა, საგოლე სიტუაციები შეექმნათ ყიფიანს, თავაძეს, კაკილაშვილს, შენგელიას. ოდნავ მეტი სიზუსტე და გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ ეს მომენტები არ იქნა გამოყენებული, 31-ე წუთზე კი ზენიტელმა მცველმა თავის საჯარიმო მოედანზე წააქცია შენგელია, რისთვისაც კვლავ დაინიშნა პენალტი, ამჯერად ლენინგრადელთა კარში. შენგელიამ არც ეს მატჩი დატოვა

უგოლოდ და ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი - 2:1.

ორიოდე წუთის შემდეგ მასპინძელთა იერიშისას კარის წინ ღიად დარჩა გერასიმოვი, რომელმაც მიუსწრო მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს და მეორე საპასუხო ბურთი გაიტანა.

ამის შემდეგ ორივე მხარეს კიდევ შეიქმნა სახიფათო მომენტები, მაგრამ ანგარიში 2:2 აღარ შეცვლილა.

თბილისის "დინამომ" წარმატებით გაართვა თავი ზედიზედ 3 გასვლითი მატჩის სიძნელეებს. 4 და 8 აგვისტოს კი მას ძალზე საპასუხისმგებლო თამაშები აქვს მოსკოვში "დინამოსთან" და "სპარტაკთან". იმედია, ჩვენი გუნდი ამ მატჩებსაც ასეთივე მაღალი ოსტატობით ჩაატარებს.

რ. ქორიძე.

25 ივლისი, 1981 წ.